კრედიტორული და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის გადასახდელი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

### ამონაგები

ამონაგები აღიარდება სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება სავაჭრო ფასდათმობით, ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობით.

სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ამონაგები წარმოდგენილია ცალკეული კატეგორიების მიხედვით.

### საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

#### მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება და ამონაგები აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება ნიშნავს, რომ კმაყოფილდებოდა ყველა შემდეგი პირობა:

ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

#### ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ხარჯების სიდიდე შეფასებულია საიმედოდ და წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც გამოწვეულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის შედეგად, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრებზე გაცემულ განაწილებასთან.

ხარჯები მოიცავს ზარალს და ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და თავიანთი შინაარსის მიხედვით მიეკუთვნებიან საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებს. ზარალი აღირიცხება ცალკე მუხლად.

#### საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები გაიწევა ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში და მოიცავს: რეალიზებული საქონლის და პროდუქციის თვითღირებულებას, მიწოდების (კომერციულ ხარჯებს), საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

#### არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯების წარმოიქმნება დანარჩენი (თანმდევი) საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში და მოიცავს: საკუროსო სხვაობის ზარალს, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზენორმიუ დანაკარგებს, საპროცენტო ხარჯებს და ა.შ.

#### გადასახადები

#### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ცვლილების მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში განაწილებული მოგება. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

#### დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

ა) როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებით ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

ბ) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

გაყიდვებთან დაკავშირებული წარმოებული ღირებულების დამატებითი გადასახადის აღიარება ხდება იმ მოვლენაზე, რომელიც უფრო ადრე მოხდა:

ა) კლიენტებისგან მოთხოვნის ამოღება;

ბ) კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება.

#### ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო). თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ფასდება თავად ურთიერთობის შინაარსი და არამარტო მისი სამართლებრივი ფორმა.

თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ. სათავე საწარმოსა და მის შვილობილ საწარმოებს შორის ურთიერთობა ფინანსურ ანგარიშგებაში აუცილებლად უნდა გამჟღავნდეს, იმის მიუხედავად, განხორციელდა თუ არა ამ დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები.

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სამეურნეო ოპერაციების თანხებს;
- ბ) დაუფარავი ნაშთების თანხას;
- გ) დაუფარავ ნაშთებთან დაკავშირებულ საექვო ვალების ანარიცხებს; და
- დ) დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ უიმედო ან საექვო ვალებთან დაკავშირებით მოცემული პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ხარჯებს.

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება მანამ, სანამ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება, თუნდაც ეს მოვლენები მოხდეს მოგების ან ზარალის, ან სხვა შერჩეული ფინანსური ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ.

არსებობს ორი ტიპის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა:

- ა) მაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე.
- ბ) არამაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში.

#### აღიარება და შეფასება

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს, მათ შორის შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილ ინფორმაციას.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო არ აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს.

#### 4. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის, ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

## 5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

|                                                            | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | ლიზინგით<br>მიღებული<br>აქტივი | მანქანა-<br>დანადგარები | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა<br>არამატერიალური<br>აქტივები | სულ         |
|------------------------------------------------------------|-------------------------------|----------------------------------------------|--------------------------------|-------------------------|-----------------------------|------------------------------------|-------------|
| <b>2021</b>                                                | -                             | -                                            | -                              | -                       | -                           | -                                  | -           |
| <b>ძირითადი საშუალებები</b>                                | -                             | -                                            | -                              | -                       | -                           | -                                  | -           |
| საწყისი ძირითადი საშუალებები                               | 149,557                       | 234,001                                      | 242,821                        | 821,486                 | 26,377                      | 0                                  | 1,474,241   |
| ძირითადი საშუალების შემოსვლა                               | 21,044                        | 0                                            | 0                              | 15,269                  | 0                           | 0                                  | 36,313      |
| საბოლოო ძირითადი საშუალებები                               | 170,601                       | 234,001                                      | 242,821                        | 836,755                 | 26,377                      | 0                                  | 1,510,554   |
| <b>ძირითადი საშუალებების ცვეთა</b>                         | -                             | -                                            | -                              | -                       | -                           | -                                  | -           |
| საწყისი დაგროვილი ცვეთა                                    | (122,948)                     | (216,121)                                    | 0                              | (588,616)               | (17,365)                    | 0                                  | (945,050)   |
| ცვეთის დარიცხვა                                            | (12,447)                      | (17,788)                                     | 0                              | (78,059)                | (2,638)                     | 0                                  | (110,932)   |
| საბოლოო დაგროვილი ცვეთა                                    | (135,396)                     | (233,909)                                    | 0                              | (666,675)               | (20,002)                    | 0                                  | (1,055,982) |
| <b>ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება</b>    | -                             | -                                            | -                              | -                       | -                           | -                                  | -           |
| ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება           | 35,205                        | 92                                           | 242,821                        | 170,080                 | 6,374                       | 0                                  | 454,572     |
| <b>არამატერიალური აქტივები</b>                             | -                             | -                                            | -                              | -                       | -                           | -                                  | -           |
| საწყისი არამატერიალური აქტივები                            | 0                             | 0                                            | 0                              | 0                       | 0                           | 1,002                              | 1,002       |
| საბოლოო არამატერიალური აქტივები                            | 0                             | 0                                            | 0                              | 0                       | 0                           | 1,002                              | 1,002       |
| <b>არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია</b>                | -                             | -                                            | -                              | -                       | -                           | -                                  | -           |
| საწყისი დაგროვილი ამორტიზაცია                              | 0                             | 0                                            | 0                              | 0                       | 0                           | (936)                              | (936)       |
| ამორტიზაციის დარიცხვა                                      | 0                             | 0                                            | 0                              | 0                       | 0                           | (6)                                | (6)         |
| საბოლოო დაგროვილი ამორტიზაცია                              | 0                             | 0                                            | 0                              | 0                       | 0                           | (942)                              | (942)       |
| <b>არამატერიალური აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულება</b> | -                             | -                                            | -                              | -                       | -                           | -                                  | -           |
| არამატერიალური აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულება        | 0                             | 0                                            | 0                              | 0                       | 0                           | 61                                 | 61          |
| <b>2022</b>                                                | -                             | -                                            | -                              | -                       | -                           | -                                  | -           |
| <b>ძირითადი საშუალებები</b>                                | -                             | -                                            | -                              | -                       | -                           | -                                  | -           |

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

18 შპს „ინტერმედიკა“-ს ფინანსური ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                                            |           |           |         |           |          |       |             |
|------------------------------------------------------------|-----------|-----------|---------|-----------|----------|-------|-------------|
| საწყისი ძირითადი საშუალებები                               | 170,601   | 234,001   | 242,821 | 836,755   | 26,377   | 0     | 1,510,554   |
| ძირითადი საშუალების შემოსვლა                               | 10,899    | 0         | 0       | 45,241    | 52,255   | 0     | 108,394     |
| საბოლოო ძირითადი საშუალებები                               | 181,500   | 234,001   | 242,821 | 881,995   | 78,632   | 0     | 1,618,948   |
| <u>ძირითადი საშუალებების ცვეთა</u>                         | -         | -         | -       | -         | -        | -     | -           |
| საწყისი დაგროვილი ცვეთა                                    | (135,396) | (233,909) | 0       | (666,675) | (20,002) | 0     | (1,055,982) |
| ცვეთის დარიცხვა                                            | (24,928)  | (8)       | 0       | (33,163)  | (5,686)  | 0     | (63,786)    |
| საბოლოო დაგროვილი ცვეთა                                    | (160,324) | (233,917) | 0       | (699,838) | (25,688) | 0     | (1,119,767) |
| <u>ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება</u>    | -         | -         | -       | -         | -        | -     | -           |
| ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება           | 21,176    | 83        | 242,821 | 182,158   | 52,943   | 0     | 499,181     |
| <u>არამატერიალური აქტივები</u>                             | -         | -         | -       | -         | -        | -     | -           |
| საწყისი არამატერიალური აქტივები                            | 0         | 0         | 0       | 0         | 0        | 1,002 | 1,002       |
| საბოლოო არამატერიალური აქტივები                            | 0         | 0         | 0       | 0         | 0        | 1,002 | 1,002       |
| <u>არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია</u>                | -         | -         | -       | -         | -        | -     | -           |
| საწყისი დაგროვილი ამორტიზაცია                              | 0         | 0         | 0       | 0         | 0        | (942) | (942)       |
| ამორტიზაციის დარიცხვა                                      | 0         | 0         | 0       | 0         | 0        | (6)   | (6)         |
| საბოლოო დაგროვილი ამორტიზაცია                              | 0         | 0         | 0       | 0         | 0        | (948) | (948)       |
| <u>არამატერიალური აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულება</u> | -         | -         | -       | -         | -        | -     | -           |
| არამატერიალური აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულება        | 0         | 0         | 0       | 0         | 0        | 55    | 55          |
| <u>2023</u>                                                | -         | -         | -       | -         | -        | -     | -           |
| <u>ძირითადი საშუალებები</u>                                | -         | -         | -       | -         | -        | -     | -           |
| საწყისი ძირითადი საშუალებები                               | 181,500   | 234,001   | 242,821 | 881,995   | 78,632   | 0     | 1,618,948   |
| ძირითადი საშუალების შემოსვლა                               | 21,775    | 0         | 0       | 31,037    | 0        | 0     | 52,812      |
| ძირითადი საშუალების გასვლა                                 | 0         | 0         | 0       | (141)     | 0        | 0     | (141)       |
| საბოლოო ძირითადი საშუალებები                               | 203,274   | 234,001   | 242,821 | 912,892   | 78,632   | 0     | 1,671,619   |
| <u>ძირითადი საშუალებების ცვეთა</u>                         | -         | -         | -       | -         | -        | -     | -           |
| საწყისი დაგროვილი ცვეთა                                    | (160,324) | (233,917) | 0       | (699,838) | (25,688) | 0     | (1,119,767) |
| ცვეთის დარიცხვა                                            | (24,545)  | (8)       | 0       | (32,430)  | (5,686)  | 0     | (62,668)    |
| საბოლოო დაგროვილი ცვეთა                                    | (184,869) | (233,926) | 0       | (732,267) | (31,374) | 0     | (1,182,436) |
| <u>ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება</u>    | -         | -         | -       | -         | -        | -     | -           |

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

19 შპს „ინტერმედიკა“-ს ფინანსური ანგარიშგება  
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                                            |        |    |         |         |        |       |         |
|------------------------------------------------------------|--------|----|---------|---------|--------|-------|---------|
| ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება           | 18,406 | 75 | 242,821 | 180,625 | 47,257 | 0     | 489,183 |
| <u>არამატერიალური აქტივები</u>                             | -      | -  | -       | -       | -      | -     | -       |
| საწყისი არამატერიალური აქტივები                            | 0      | 0  | 0       | 0       | 0      | 1,002 | 1,002   |
| საბოლოო არამატერიალური აქტივები                            | 0      | 0  | 0       | 0       | 0      | 1,002 | 1,002   |
| <u>არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია</u>                | -      | -  | -       | -       | -      | -     | -       |
| საწყისი დაგროვილი ამორტიზაცია                              | 0      | 0  | 0       | 0       | 0      | (948) | (948)   |
| ამორტიზაციის დარიცხვა                                      | 0      | 0  | 0       | 0       | 0      | (6)   | (6)     |
| საბოლოო დაგროვილი ამორტიზაცია                              | 0      | 0  | 0       | 0       | 0      | (954) | (954)   |
| <u>არამატერიალური აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულება</u> | -      | -  | -       | -       | -      | -     | -       |
| არამატერიალური აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულება        | 0      | 0  | 0       | 0       | 0      | 49    | 49      |

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

## 6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

სასაქონლო-მატერიალური მარაგი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                   | 2023   | 2022   | 2021   |
|-----------------------------------|--------|--------|--------|
| <b>6</b>                          | -      | -      | -      |
| <b>მიმდინარე მარაგი</b>           | -      | -      | -      |
| ნედლეული და მასალები              | 39,958 | 33,854 | 72,290 |
| საქონელი                          | 20,190 | 17,225 | 7,543  |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 4,144  | 5,427  | 5,974  |
| სამედიცინო აპარატის ნაწილები      | 2,268  | 3,166  | 0      |
| მიმდინარე მარაგი ჯამი             | 66,560 | 59,672 | 85,807 |

## 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                              | 2023    | 2022   | 2021   |
|----------------------------------------------|---------|--------|--------|
| <b>7</b>                                     | -       | -      | -      |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</b> | -       | -      | -      |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში              | 247,964 | 59,600 | 72,004 |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში                  | 9,855   | 8,978  | 3,394  |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში               | 15      | 15     | 15     |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ჯამი   | 257,835 | 68,593 | 75,414 |

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების ნაშთების კლასიფიცირება შეიძლება როგორც რისკის გარეშე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც განთავსებულია კომპანიის მიმდინარე ანგარიშები არის საიმედო და ფართოდ ცნობილი ქართული საფინანსო ორგანიზაციები.

## 8. ამონაგები და თვითღირებულება

ამონაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                 | 2023      | 2022      | 2021      |
|---------------------------------|-----------|-----------|-----------|
| <b>8</b>                        | -         | -         | -         |
| <b>ამონაგები</b>                | -         | -         | -         |
| შემოსავალი ვაუჩერის გამოყენებით | 0         | 0         | 515       |
| შემოსავალი ნაღდი ანგარიშწორებით | 1,708,850 | 1,663,063 | 1,653,346 |
| შემოსავალი სადაზღვევოდან        | 29,564    | 24,989    | 29,710    |

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

21 შპს „ინტერმედიკა“-ს ფინანსური ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                   |           |           |           |
|-----------------------------------|-----------|-----------|-----------|
| შემოსავალი უნაღდო ანგარიშსწორებით | 1,596,851 | 1,164,672 | 907,456   |
| ამონაგები ჯამი                    | 3,335,264 | 2,852,724 | 2,591,026 |
| <b>თვითღირებულება</b>             | -         | -         | -         |
| გახარჯული ნედლეულის ღირებულება    | (224,705) | (274,566) | (259,203) |
| თვითღირებულება ჯამი               | (224,705) | (274,566) | (259,203) |

## 9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                        | 2023        | 2022        | 2021        |
|----------------------------------------|-------------|-------------|-------------|
| <b>9</b>                               |             |             |             |
| <b>ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი</b> | -           | -           | -           |
| ადმინისტრაციის ხელფასი                 | (1,058,421) | (741,405)   | (720,895)   |
| ბანკის მომსახურების ხარჯი              | (28,476)    | (21,530)    | (15,568)    |
| დაზღვევის ხარჯი                        | (5,371)     | (3,976)     | 0           |
| დასუფთავება დეზინფექციის ხარჯი         | (5,881)     | (4,887)     | (4,887)     |
| იჯარის ხარჯი                           | (26,400)    | (26,400)    | (26,400)    |
| კომუნალური ხარჯი                       | (24,062)    | (19,523)    | (18,813)    |
| კომუნიკაციის ხარჯი                     | (4,714)     | (3,008)     | (4,114)     |
| მომსახურების ხარჯი                     | (30,395)    | (51,921)    | (32,221)    |
| რემონტის ხარჯი                         | (3,013)     | (6,874)     | (2,831)     |
| სამედიცინო პერსონალის ხელფასი          | (1,724,552) | (1,477,379) | (1,346,072) |
| სამეურნეო ხარჯი                        | (41,384)    | (38,953)    | (32,694)    |
| საპენსიო ანარიცხი                      | (12,234)    | (10,465)    | (8,515)     |
| სხვა საერთო ხარჯი                      | (500)       | 0           | 0           |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი ჯამი   | (2,965,402) | (2,406,321) | (2,213,008) |

## 10. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

|                                            | 2023  | 2022  | 2021   |
|--------------------------------------------|-------|-------|--------|
| <b>10</b>                                  |       |       |        |
| <b>სხვა არასაოპერაციო შემოსავლები</b>      | -     | -     | -      |
| დაზღვევის ფარგლებში ზარალის ანაზღაურება    | 430   | 0     | 0      |
| საპენსიო სააგენტოდან მიღებული შემოსავალი   | 0     | 0     | 231    |
| სუბსიდირების ფარგლებში მიღებული შემოსავალი | 0     | 0     | 9,309  |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი              | 0     | 0     | 3,173  |
| უსასყიდლოდ მიღებული საქონლის ღირებულება    | 667   | 0     | 800    |
| ძირითადი საშუალების რეალიზაცია             | 0     | 4,959 | 0      |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები ჯამი        | 1,097 | 4,959 | 13,514 |

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

## 11. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

|                                     | 2023 | 2022  | 2021     |
|-------------------------------------|------|-------|----------|
| <b>11</b>                           |      |       |          |
| <b>სხვა არასაოპერაციო ხარჯები</b>   |      |       |          |
| გადახდილი ჯარიმა                    | (18) | 0     | 0        |
| დოკუმენტალურად დაუდასტურებელი ხარჯი | (5)  | (9)   | (168)    |
| ლიზინგის ხარჯი                      | 0    | 0     | (9,110)  |
| საქველმოქმედო ხარჯი                 | 0    | (375) | (6,000)  |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი       | (28) | (424) | (1,918)  |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები ჯამი     | (51) | (809) | (17,196) |

## 12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განისაზღვრება ბასს 24-ის მიხედვით.

„ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

| პერიოდი | 2023    | 2022    | 2021    |
|---------|---------|---------|---------|
| იჯარა   | 24,000  | 24,000  | 24,000  |
| ხელფასი | 596,630 | 357,075 | 433,575 |

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

### 13. სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები

#### სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

#### ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში

სააღრიცხვო შეფასების ცვლილება ეს არის აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში შესწორება, ან აქტივის პერიოდული გამოყენების თანხა, რომელიც გამომდინარეობს მისი მიმდინარე სტატუსიდან, ან აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან ვალდებულების შეფასებიდან. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ახალი ინფორმაციით ან ახალი მოვლენებით, შესაბამისად, არ წარმოადგენს შეცდომების გასწორებას.

#### შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

ა) ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის; და

ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

ეს შეცდომები მოიცავს მათემატიკური შეცდომების შედეგებს, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებულ შეცდომებს, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევებსა და თაღლითობის შემთხვევებს.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების პერსპექტიულად გამოყენება და სააღრიცხვო შეფასებაში შეტანილი ცვლილებების ეფექტის აღიარება, შესაბამისად, წარმოადგენს:

ა) ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებას ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ იმ თარიღის შემდეგ, როცა სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცვალა; და

ბ) სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების ეფექტის აღიარებას მიმდინარე და იმ მომავალ პერიოდებში, რომლებიც ამ ცვლილების გავლენას განიცდიან.

სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილების შედეგი, აისახება მოგებაში ან ზარალში პერსპექტიულად:

ა) იმ პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას, თუ ეს ცვლილება ზემოქმედებს მხოლოდ აღნიშნულ პერიოდზე; ან

ბ) იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ცვლილება და შემდგომ პერიოდებში, თუ ეს ცვლილება მომავალ პერიოდებზეც ახდენს ზემოქმედებას.

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საწარმომ რეტროსპექტულად უნდა შეასწოროს წინა პერიოდის არსებითი შეცდომები გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც შეცდომები გამოვლინდა და ეს უნდა გაკეთდეს შემდეგი გზით:

ა) იმ წარდგენილი პერიოდის (პერიოდების) შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან

ბ) ყველაზე ადრეული პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ პერიოდთან ყველაზე წინა პერიოდამდე.

კომპანიას აქვს სამედიცინო საქმიანობაში გამოყენებული მასალების ხარჯვის სპეციალური პროგრამა. აღნიშნული პროგრამის საფუძველზე ხდება ყოველდღიური ამბულატორიული და ლაბორატორიული მომსახურების გაწევის შედეგად გახარჯული სამედიცინო მასალების ჩამოწერა.

2021 წელში აღნიშნული პროგრამის ტესტირების დროს აღმოჩნდა ტექნიკური ხარვეზი, რის გამოც 2019-2020 წლებში არასწორად, არასრულად მოხდა სამედიცინო მარაგების ჩამოწერა. აღნიშნული წარმოადგენს წინა პერიოდის შეცდომას, რამაც გამოიწვია 2019 და 2020 წლებში აქტივების, კერძოდ მარაგების გადაჭარბებით ასახვა ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში და გაწეული მომსახურების თვითღირებულების შემცირებით ასახვა კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. . კომპანიამ რეტროსპექტულად შეასწორა წინა პერიოდის არსებითი შეცდომები. აღნიშნული ოპერაციები და მისი გავლენა მოცემულია მე-6 და მე-8 შენიშვნებში.

#### 14. ფინანსური რისკის ფაქტორები

##### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე და მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. კომპანიის საბაზრო რისკი ძირითადად დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რაც გამომდინარეობს კომპანიის საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

##### ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისაგან. კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდვას დამატებით დაფინანსების წყაროებს.

7-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი